ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №17

დ. ჩოხატაური *29 დეკემბერი, 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ზაალ მამალაძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემური ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, ალეკო კვინტრაძე, მალხაზ ჩხიკვაძე,დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე,გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე,ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, გოდერძი გოგიშვილი, რომანი ჯულაყიძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი რამიშვილი, დავით ტრაპაიძე, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

თეა უჯმაჯურიძე- გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

გელა ლომინეიშვილი- გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი.

ნიკოლოზ დუმბაძე- სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი- **ირაკლი კუჭავა.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,, შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო-2009“-ის ლიკვიდაციაზე თანხმობის შესახებ“.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის #60 დადგენილებაში- ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,, შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო-2009“-ის ლიკვიდაციაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის #60 დადგენილებაში- ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

I საკითხი: ,, შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო-2009“-ის ლიკვიდაციაზე თანხმობის შესახებ“.

მოისმინეს:

1. ,, შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო-2009“-ის ლიკვიდაციაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოდერძი გოგიშვილმა, მარინე ბერაძემ, მაია პაიჭაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: ,, შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო-2009“-ის ლიკვიდაციაზე თანხმობის შესახებ“.

II საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მოისმინეს:

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მანანა მინდაძემ, მამია ბარამიძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ თვითმმართველობა საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად აფუძვნებს ა(ა).ი.პ- ს. ჩემი აზრით, უმჯობესია, რადგან გვაქვს სპორტის განვითარების ცენტრი, აქ იყოს იგი კლუბის სახით. მიმაჩნია, რომ ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნება თვითმმართველობის უფლებამოსილება არ არის. წარმოდგენილი პროექტიდან, გამოდის რომ, ჩვენ ვაფინანსებთ ფეხბურთის თამაშს. ეს არ არის რაღაცის შექმნა. გრანტის გაცემას აქვს მისი წესი. ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია აძლევს თანხას მეორე საბიუჯეტო ორგანიზაციას, საბიუჯეტო ორგანიზაცია აღნიშნავს საჯაროობას. მე, ამ პროექტს მხარს ვერ დავუჭერ. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს აზრს გაითვალისწინებთ და გთხოვთ ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება ოქმში იქნას დაფიქსირებული.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1 (ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,, საფეხბურთო კლუბ- ბახმაროს“ დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

III საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით შარაშიძემ, რომელმაც იკითხა: რა აუცილებლობით არის განპირობებული ახალი ა(ა).ი.პ- ის შექმნა და 35 ათასი ლარით დაფინანსება, როცა ბიუჯეტში იმისთვის არ მოიძებნა თანხა, რომ შევქმნათ უპოვართა სახლი. შესაძლებელია ეს ა(ა)ი.პ-ი სამხატვრო სკოლასთან ერთად არსებობდეს. ვაპირებ, უპოვართა სახლის გახსნის საკითხი დავაყენო კემნჭისყრაზე საკრებულოს სხდომაზე და მოხარული ვიქნები თუ თქვენც დაუჭერთ მხარს ამ პროექტის განხორციელებას.

როცა ბიუჯეტში იმისთვის არ მოიძებნა თანხა, რომ შევქმნათ უპოვართა სახლი . ჩოხატაურში მოდაშია უკვე ა(ა).ი.პ-ების შექმნა და ისეთი ადამიანების დასაქმება, რომლებიც მაღალფარდოვნად მოიხსენიებდა ფრაქცია ,,ქართულ ოცნებას“ და ასეთი ადამიანები საქმდება დღეს, როცა ,,ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ჯერ კიდევ დაუსაქმებელია.

მაინტერესებს, ვინ უნდა ახსნას რამდენად აუცილებელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“- პროექტის წარმოდგენა თქვენ, იურიდიულ თუ კულტურის სამსახურებს ეხება?

თეა უჯმაჯურიძე:როცა პროექტი შემოდის, შეთანხმებულია ყველა სამსახურთან . რაზეც მე ვსაუბრობდი მოხსენების დროს, არის სუფთა იურიდიული მხარე, რადგან განკარულების პროექტს ამზადებს იურიდიული განყოფილება. რა თქმა უნდა განმარტებით ბარათს გამგებელი აწერს ხელს. რაც შეეხება წესდებას, თქვენ იცით, რომ ახალი კანონმდებლობის თანახმად, წესდება საკრებულოსთან არ თანხმდება . წესდების შემუშავების პროცესში ჩართულია კულტურის სამსახურიც. ამ პროექტის განსახორციელებლად 35,0 ათასი ლარია გათვალისწინებული და ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლად გალერიის შექმნის იდეა ძალიან სწორიც იყო, რადგან გვაქვს დიდი მოლოდინი. ვფიქრობთ, ის თავის თავს ირჩენს.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ გამგებელთან გვქონდა შეხვედრა, სადაც აუდიტიც იყო მოწვეული და მაშინ გამგებელმა თქვა, რომ მენეჯმენტის სწორად მუშაობისთვის

საჭიროა რამდენიმე ა(ა).ი.პ-ი გაერთიანდეს, რადგან ფაქტიურად ვერ ახორციელებენ მის უფლებამოსილებასო- აღნიშნა გამგებელმა და აუდიტმა შეხვედრაზე. ახლა სხვაგვარად ვთვლით, რომ ახალი ა(ა).ი.პ-ი ჩამოვაყალიბოთ. უმჯობესია, ჯერ თქვენ ჩამოყალიბდეთ და შემდეგ გამოიტანოთ საკითხი განსახილველად. მაინტერესებს ასევე, საბიუჯეტო რისკები თუ არის გათვალისწინებული ამ კონკრეტული ა(ა).ი.პ-ისთვის და მოგვიწევს თუ არა ამ 35,0 ათასი ლარის გარდა კიდევ სხვა ხარჯების გაღება სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად?

საკმარისია თუ არა 35,0 ათასი ლარის გამოყოფა ამ ა(ა).ი.პ-ის ფუნქციონირებისათვის,ამის შესახებ საფინანსო სამსახური უკეთ მოგახსენებთ, მე შემიძლია გითხრათ, რომ ამ თანხაში გათვალისწინებულია ხელფასის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯის თანხები და იგი გაწერილია 13 თვეზე. რა იქნება შემდეგში? მომავალი გვიჩვენებს. დასძინა თეა უჯმაჯურიძემ.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ სწორედ იმ შეხვედრაზე, რომელიც ბიუროს წევრებთან ერთად გაიმართა, ცნობილი გახდა ინფორმაცია კულტურის ა(ა).ი.პ-ების გაერთიანების შესახებ. მაშინვე შევთანხმდით, რომ თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა ცალკე დამოუკიდებელ იურიდიულ პირად შეიქმნებიდა. ასე რომ ,,ჯერ ჩამოყალიბდით და მერე გამოიტანეთ საკითხი განსახილველად“- ვერ დავეთანხმები ბატონ ირაკლი ახობაძეს.

კობა კალანდაძე- სამხატვრო გალერეა , პრაქტიკულად არის საგამოფენო დარბაზი. ვერ ვხედავ ვერანაირ აუცილებლობას და საჭიროებას, რომ გალერეა ცალკე ა(ა).ი.პ-ად იქნას ჩცამოყალიბებული.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი – 4

(ი. ახობაძე; დ. შარაშიძე; გ. გოგიშვილი; კ. კალანდაძე)

(კენჭისყრაზე თავი შეიკავა გოჩა ჯიქიამ)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის დაფუძნებაზე თანხმობის შესახებ“.

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ, ზაალ მამალაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ალეკო კვინტრაძემ, მამია ბარამიძემ, გოდერძი გოგიშვილმა.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით შარაშიძემ, მაია გიორგაძემ, ქეთევან სიხარულიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში- ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში- ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u>

დავით შარაშიძემ და აღნიშნა: არის თუ არა დაცული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სამომავლო რისკებისაგან?

- გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, სტიქია და ა.შ. ფინანსთა სამინისტროსგან მივიღებთ დახმარებას. ეს ხომ ჩვეულებრივი პროცესია, უპასუხა გელა ლომინეიშვილმა.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, რომელიც დამტკიცებულია, ნაჩვენებია, რომ საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის ცვლილება 3,2 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის ნაშთი წლის დასაწყისში იყო 38, 086 ათასი ლარი, ანუ ნაშთი 2014 წლის ბოლოსთვის არის 41, 286 ათასი ლარი. მაინტერესებს, 2015 წლის პირველი

იანვრისთვის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი 68,1 ათასი ლარი როგორ აღმოჩნდა?

ასევე დამტკიცებული ბიუჯეტიდან ირკვევა, რომ საკუთარი შემოსავლებიდან 81, 3 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ ტრანსფერების დეფიციტის შესავსებადაა გათვალისწინებული. ე.ი. 2015 წლის თავისუფალი ნაშთი ყოფილა 149, 4 ათასი ლარი, რაც გაურკვეველია. გთხოვთ განმარტებას.

ასევე 09. 02. 2015 წლის საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე" , სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან დეფიციტის შესავსებად იყო 220, 6 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების დეფიციტისთვის 101, 4 ათასი ლარი, რაც (ხელფასების ზრდისთვის) გამოყოფილი იყო.ეს თანხა საერთოდ არ არის ასახული, გაურკვეველია.

გაურკვეველია, ახლა, წინა წლის ვალდებულების დასაფარად 7,8 ათასი ლარის გამოყოფა. შეგახსენებთ, რომ ეს ვალდებულება გადახდილია წინა კვარტალში.

თუ გვქონდა თავისუფალი ნაშთი 68, 1 ათასი ლარი, 05. 11. 2015 წლის საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის 160 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე", რატომ არ მივმართეთ ეს თანხა ა(ა).ი.პ-ების სუბსიდირებაზე.

მუხლი 13 არ შეესაბამება სოციალურ პროგრამებს, კერძოდ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ა(ა).ი.პ ახალგაზრდული ცენტრი ,,პროგრესის" დაფინანსება.

ფაქტიურად ყველა დასმული შეკითხვა გავლილია კომისიის სხდომებზეც და ფრაქციის სხდომებზეც და შესაბამისად იქ ყველა დასმულ შეკითხვას გაეცა პასუხი. ჩვენ კანონმდებლობას არ ვარღვევთ. უპასუხა გელა ლომინეიშვილმა.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი -1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში- ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

VIII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u>

დავით შარაშიძემ ,რომელმაც 2016 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში პროექტის ავტორს მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს- გელა ლომინეიშვილს მიმართა შეკითხვებით. (შეკითხვები და მასზე გაცემული პასუხები ოქმს თან ერთვის).

შენიშვნების შესახებ საკრებულოსათვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ დავით შარაშიძემ ითხოვა სხდომის თავმჯდომარეს კენჭისყრაზე დაეყენებინა საკითხი მუნიციპალიტეტში უპოვართა სახლის გახსნის და 2016 წლის ბიუჯეტში თანხების მოძიების შესახებ.

-საკითხი კენჭისყრაზე ვერ დადგება, რეგლამენტი ასეთ პროცედურას არ ითვალისწინებს. დღის წესრიგი უკვე დავამტკიცეთ. რეგლამენტის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი პირდაპირ მიანიშნებს, რომ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებითი საკითხის შეტანა დაუშვებელია, გარდა ისეთი საკითხებისა, რომლებიც საკრებულოს მიერ მიიღება ცნობად. აღნიშნა ვლადიმერ სიხარულიძემ.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ კომისიებმა, ფრაქციებმა განიხილა 2016 წელს ბიუჯეტის ის პროექტი, რომელიც ელ. ვერსიით დაგვეწერა განსახილველად. მომხსენებელმა კი დღევანდელ სხდომაზე შეცვლილი ციფრებით წარმოადგინა იგი. ვსვამ კითხვას: რატომ ვარღვევთ რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს?

_გამგებლის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი გარკვეული შენიშვნებით კანონით გათვალისწინებულ ვადებში დავუბრუნეთ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

გამგებელს ქონდა უფლება გაეთვალისწინებინა ან არ გაეთვალისწინებინა აღნიშნული შენიშვნები.

წარდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით რედაქტირებული ვარიანტია ის, რომელიც ამჟამად განიხილება. განმარტა ვლადიმერ სიხარულიძემ.

ირაკლი ახობაძემ ისევ შენიშნა, რომ ირღვევა რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურები. ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივი განხილვა შეუძლებელია, რადგან ციფრები ურთიერთის საწინააღმდეგოა.

ფაქტობრივად გამოდის, რომ ბიუჯეტის პროექტის ახალი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი სხდომაზე. მქონდა ბიუჯეტის ბალანსთან მიმართებაში შენიშვნები, რომელიც დღევანდელ ვარიანტში უკვე აღარ ჩანს. შეგახსენებთ, რომ რეგლამენტის დარღვევით მიღებული ყველა დადგენილება ბათილია.

_რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ გამგებლის თანხმობით. თუ გამგებელი იქნება თანახმა, შეგვიძლია მოვახდინოთ შესაბამისი კორექტირება. ბიუჯეტი ოფიციალურად მხოლოდ ერთხელ იქნა დაბრუნებული. საბოლოოა ის ვარიანტი, რომელსაც ახლა ვიხილავთ. გააკეთა განმარტება ვლადიმერ სიხარულიძემ.

ვლადიმერ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის 80-ე მუხლის შესაბამისად, გთავაზობთ წინადადებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივად კენჭისყრის თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსის კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 1)

<u>აზრი გამოთქვა :</u> მარინე ბერაძემ, მალხაზ ჩხიკვაძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის გეგმის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან საკუთარი შემოსავლები არ ბალანსდება. მთლიანი სალდო 533,0 ათასი ლარია, გამოკლებული ფინანსური აქტივების კლება უნ და იყოს ნული, წარმოდგენილ დოკუმენტში ნული არ არის. არ ბალანსდება 2015 წელი. ე.ი დოკუმენტი არასრულია.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1 (ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 2)

<u>აზრი გამოთქვა:</u> მამია ბარამიძემ, ერეკლე უღრელიძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ნაშთის ცვლილება არ შეესაბამება კოდექსს.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1(ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 5 751.8 ათასი ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 3)

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით გუდავაძემ, ზაალ მამალაძემ, მანანა მინდაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადების თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 4)

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით გუდავაძემ, მალხაზ ჩხიკვაძემ, მაია პაიჭაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 5)

<u>აზრი გამოთქვა:</u> ქეთევან სიხარულიძემ, გოჩა ჯიქიამ, კობა კალანდაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი –0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 6)

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია პაიჭაძემ, ზაალ მამალაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1 (ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 883, 3 ათასი ლარის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 7)

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიად მამალაძემ, ქეთევან სიხარულიძემ, ალეკო კვინტრაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი –1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 8)

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, რომელმაც აღნიშნა რომ პროექტში წერია: შენობა-ნაგებობის თანხაა 73,2 ათასი ლარი. კონკრეტულად რომელ შენობა- ნაგებობას ჩუქნით ამ თანხას და თუ არსებობს ამასთან დაკავშირებით აუდიტის შეფასება?

გელა ლომინეიშვილი: კონკრეტულ შენობა- ნაგებობასთან დაკავშირებით მიმართეთ გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურს.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1(ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 9)

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, დავით გუდავაძემ, მაია გიორგაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1 (ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო- 20,0 ათასი ლარის ოდენობის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 10)

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია პაიჭაძემ, ზაალ მამალაძემ, მარინე ბერაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 1 (ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 11)

<u>აზრი გამოთქვა:</u> მანანა მინდაძემ, ოთარი სოროზანიშვილმა, ერეკლე უღრელიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მოისმინეს:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 183, 0 ათასი ლარის ოდენობის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 12)

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიად მამალაძემ, მაია პაიჭაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი –0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 5 915, 0 ათასი ლარის ოდენობის თაობაზე კენჭისყრის შესახებ. (მუხლი 13).

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საკრებულოს წევრებს მიეღოთ გადაწყვეტილება ამ მუხლს მთლიანად ეყაროს კენჭი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი –0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

<u>აზრი გამოთქვა:</u> მამია ბარამიძემ, ალეკო კვინტრაძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შეფასების კრიტერიუმები არ არის ეფექტური და შეფასების ინდიკატორები არ ემთხვევა. შეფასების კრიტერიუმი თითოეულ პროგრამას უნდა ახლდეს. არ ემთხვევა შეფასების ინდიკატორებიც.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი – 1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 14. დაევალოს იურიდიულ პირებს და საბიუჯეტო დაწესებულებებს მიიღონ საჭირო ზომები ბიუჯეტის შემოსავლების აუცილებელი შესრულებისა და ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 15. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2015 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილება ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 16. დადგენილება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა საკრებულოს წევრებს მიეღოთ გადაწყვეტილება მე- 14, მე- 15 და მე-16 მუხლებისთვის ერთობლივად კენჭისყრის თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით შარაშიძემ, მაია პაიჭაძემ, ზაალ მამალაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივად კენჭისყრის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე კენჭისყრის შესახებ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი –0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ:

მადლობას მოგახსენებთ თითოეულ თქვენგანს გაწეული შრომისთვის, განსაკუთრებული მადლობა საკრებულოს, ბატონ ვლადიმერ სიხარულიძეს, რომელმაც იტვირთა ბიუჯეტის მუშაობაზე სრული პასუხისმგებლობა და საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. მადლობა გამგებლის წარმომადგენლებს, ა(ა).ი.პ-ის ხელმძღვანელებს და მოწვეულ სტუმრებს. საკრებულოს ყველა კომისიას და ფრაქციას დიდი მადლობა ჩემგან გაწეული საქმიანობისთვის, შრომისთვის.

რამდენიმე საკითხს გაგაცნობთ, რაც შეიძლება განვახორციელოთ ჩვენს მუნიციპალიტეტში. ყურადღებას გავამახვილებ დაბის ქუჩების მოწყობაზე, რომელზეც ისაუბრა ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ- ზვიადი მამალაძემ. ამ თემას დავამატებ, რომ დაბის იერსახის კონცეფციის შექმნაზე მუნიციპალიტეტი მალე კონკურსს გამოაცხადებს და გამარჯვებული დაჯილდოვდება კიდეც. კონკურსი ყველაფერს მოიცავს _ როგორი უნდა იყოს შენობები, ნაგვის ურნები, დასასვენებელი პარკები, ქვაფენილები. გვინდა, რომ ჩოხატაურს საკუთარი, განუმეორებელი სახე ჰქონდეს და მუდამ ასე დაუგეგმავად არ შენდებოდეს. მის გალამაზებაში ყველა უნდა ჩაერთოს. ასევე, გამოცხადდება კონკურსი _ შეიქმნას სლოგანი სპეციალურად ჩოხატაურისთვის,რომ იანვრის თვეში დავიწყოთ უნდა მუშაობა ამ საკითხზე, შევქმნათ კომისია, სადაც აუცილებლად უნდა იყოს არქიტექტორი, რომ კონკურსანტს სწორი და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს გამოცხადებული კონკურსის პირობების შესახებ.

პარკი, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის გვერდით კეთდება, დავარქვათ "კრიმანჭულის" პარკი და რამდენიმე ფესტივალითაც იქნება დატვირთული ეს პარკი. სახელიდან გამომდინარე ერთი ფესტივალი ,,კრიმანჭულის“ იქნება და მეორე ოთარ რამიშვილის სახელობის ფესტივალი ჩატარდება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში იხსნება ახალი სამხატვრო გალერეა და ვფიქრობ, მას თანამედროვე სასახელო მხატვრის, წარმოშობით ჩოხატაურელის _ ედმონდ კალანდაძის სახელი უნდა მიენიჭოს, ასევე აუცილებელია მის ოჯახთან კავშირი, რასაც შემდგომ მოყვება თანხის მოძიების გარეშე, გამოფენის მოწყობა.

ჩოხატაურს ბევრი საამაყო პიროვნება ჰყავს. მათ შორის, არის სახელოვანი მოცეკვავე, ქართული ქორეოგრაფიის ფუძემდებელი ნინო რამიშვილი და ვფიქრობ, კარგი იქნება თუ კულტურის სახლს, რომელის მშენებლობაც აქტიურად მიმდინარეობს, ნინო რამიშვილის სახელი მიენიჭეოს. ეს იქნება არა მარტო ნინო რამიშვილის ბმა ჩოხატაურთან, არამედ მთელი ანსამბლ ,,სუხიშვილების“ ჩოხატაურთან და ამით შეგვეძლება წელიწადში ერთხელ მაინც ამ სახელის გამო გვეწვიოს ,,სუხიშვილების“ ანსამბლი ჩვენს რაიონში.

გარდა ამისა, ვიმუშაოთ იმაზე, რომ ჩოხატაურის აგრარულ ბაზართან მდებარე საცალფეხო ხიდი, რომელიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას რამდენიმე სოფელთან აკავშირებს, აღდგეს, როგორც სამანქანო; ეს კი ერკეთის, გუთურის, იანეულის, ხიდისთავის, ჯვარცხმის,

ნაბეღლავის, ზოტის, ჩხაკოურას და ქვაბღის მოსახლეობას შეუმოკლებს და გაუადვილებს მოძრაობას. ამავე დროს, უსაფრთხოს გახდის ორ გზაჯვარედინს _ ბენზინგასამართ სადგურ "სოკართან" და სუპერმარკეტ "მარულასთან". გასათვალისწინებელია, რომ ხიდის აღდგენა ბაზარს და მიმდებარე ტერიტორიას გახდის კერძო ბიზნესისთვის მიმზიდველს . არის იდეა, რომ ბაზრობა ოთხშაბათობითაც იყოს და შემდგომ ყოველდღიური გავხადოთ.

დიდი ხანია, მიმდინარეობს მუშაობა გორაბერეჟოულის ტექნიკუმის აღდგენაზე, თუმცა, განათლების სამინისტროს მიერ დადებული დასკვნის თანახმად, არსებული შენობა გამოუსადეგარია და დემონტაჟს ექვემდებარება. სამაგიეროდ, მდგრადია, ვარგისია სოფელ ქვემო ერკეთის ყოფილი პროფტექნიკუმის შენობა. ამიტომ, შემოვდივარ წინადადებით, რომ სასწავლო კორპუსად გამოყენებული იქნას ქვემო ერკეთში მდგარი შენობა, ხოლო საცდელი ნაკვეთები და სასწავლო ბაზა განთავსდეს გორაბერეჟოულში. ამ ვარიანტს, რომელიც ორ სოფელს გამოაცოცხლებს და სამუშაო ადგილებს შექმნის, განათლების სამინისტროს უახლოეს ხანში შევთავაზებთ. ბევრი რამით შეიძლება ტერიტორიის დატვირთვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბიუჯეტში, საკრებულოს ინიციატივით და გამგეობის მხარდაჭერით, ჩაიდო თანხა, რომელიც განკუთვნილია კონკურსებისთვის.

მოკლედ საფიქრალი ბევრია და საქმეც შრომატევადი.

ოქმს თან ერთვის:

1. საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის დასკვნა;
2. მუნიციპალიტეტის გამგებლის- ირაკლი კუჭავას საკრებულოს წევრებისადმი მისალმება , დასმულ კითხვებთან დაკავშირებით პასუხები;
3. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ პროექტის ავტორისადმი (გელა ლომინეიშვილი) 2016 წელს ბიუჯეტთან მიმართებაში დასმული შეკითხვები;
4. ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის (ზვიადი მამალაძე) საკრებულოს სხდომაზე გამოსვლის ტექსტი;
5. ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარის (ირაკლი ახობაძე) ბიუჯეტთან მიმართებაში დასმული შეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ვლადიმერ სიხარულიძე*